**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ, |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 6 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 6

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. [illegible] 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— [illegible] მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაური სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

## ახალი განცხადება

**1905 წლის 14 იანვრიდან**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფასი 10 მანეთი ერთის წლით. **„ივერია"** ცალკე ნომერი 3 კაპეიკი.

წელიწადი ოცდა მეცხრე

გამოვა ყოველ დღე, ორშაბათობითაც

განახლებულის რედაქციით

**და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით**

**გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება**

ამასთან წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში

**პრემიად 12 წიგნს**

შემდეგის საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა". ამ წიგნებში მოთავსებული იქნება: ბელლეტრისტიული, პუბლიცისტური ეკონომიური და ისტორიული წერილები უმთავრესად საქართველოს ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ოჯახში გამოსადეგი ცნობები და დარიგებანი და სხვანი.

როგორც თვით გაზეთში, ისე საპრემიო წიგნებშიაც იქნება ხოლმე

**სურათები** და სხვა და სხვა **ილუსტრაციები.**

გაზეთის „წლიური" ფასი რჩება იგივე, რომლის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მან., ვინც ნახევარ წლით, ან თვიურად გამოიწერს, უნდა შემოიტანოს თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებს და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებათურთ დაეთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან., ამ შეღავათიან ხელის მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული: ყოველთვე თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსატანი შესრულდებოდეს.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверіа".

## თბილისის სამარხი კასის

გამგეობას პატივი აქვს აუწყოს თავის წევრთ, რომ დეკემბერში გარდაიცვალა ამავე კასის ორი წევრი: 1) **მიხეილ სიმონის ძე ხორბალაძე** და 2) **ექვთიმე ბეჟანის ძე დავითაია**, რისთვისაც კასის ყოველმა წევრმა უნდა შემოიტანოს ორი კვირის განმავლობაში, თითოზე 1 მან. 25 კაპ., სულ 2 მან. 50 კაპ.

ვინც ორი კვირის განმავლობაში არ შემოიტანს ზემოხსენებულ 2 მან. 50 კაპ., მას გადახდება **ჯარიმად ზედ მეტი კიდევ ერთი მანეთი.**

ფული უნდა წარადგინონ გამგეობის წევრ სოსიკო მერკვილაძესთან.

(ქაშვეთის ქუჩა, წიგნის მაღაზია «ცოდნა». (3—3).

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 13 (აბონემენტის გარეშე).

## სახაზინო თეატრი

ხუთშაბათს, 13 იანვარს, 1904 წ.

**ბენეფისი ნატ. მ. გაბუნია-ცაგარლია**

ქართულ დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I
ახალი პიესა
**ჩვენი ნაცნობები**
სცენები 1 მოქმ., თხზ. კ. დოდაშვილისა.

II
**ცოლი უღელის მწეველი**
დრ. 4 მოქმ. და 5 სურ., გადმ. ა. ყაზბეგის-მიერ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

**მზადდება წარმოსადგენად:** «ჭრიჭინა», «იულიოს კეისარი», «რუი-ბლაზი», აზიანის ახალი პიესა «სამშობლოს ბურჯნი» და სხვ.

ამხანაგობის დირექცია. მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

**კ**ვირას, იანვრის 9, ტფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკის დარბაზში, დილის 12 საათზედ, დანიშნულია პირველი საგანგებო კრება ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შემდეგის საგნების განსახილველად:

1) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

2) საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

3) დადგენა საწევრო გადასახადის რაოდენობისა.

(3—3)

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

ორშაბათს, 9 იანვარს,

ბენეფისი ნ. შიხუცკაია-მინჩენკოსი

დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**რუსლან და ლუდმილა**

ოპერა 5 მოქმ., მუს. გლინკასი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ორელი, ნიკიტსკაია, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, სიკაჩინსკი, გალეცკი, დემიანენკო, პორუბინოვსკი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

კაპელმეისტერი ნ. მიკლაშევსკი.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ორშაბათს, 10 იანვარს,

წარმოდგენილი იქნება

**მ ა ზ ე პ ა**

მუსიკა ჩაიკოვსკისა.

სამშაბათს, 11 იანვარს,

დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**მ ა ნ ო ნ ი**

მუსიკა მასსენისა.

ამ მოკლე ხანში იქნება ბენეფისი კასირი ქალის სტრელკოვისა.

მზადდება წარმოსადგენად **«ზიაზია»**, ოპერა 3 და სურ., მუსიკა ლეონკოვალლოსი.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აზეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

**ს. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

**პორტ არტური.** რუსეთის სახელმწიფო კანტროლის ანგარიშიდგან სჩანს, რომ შარშან, **1904** წელს, საგანგებო თანხიდგან პორტ არტურში საქალებო გიმნაზიისა და მოწყალების დათა სახლის ასაშენებლად **436** ათასი მანეთი დაუხარჯავთ და პორტ არტურის წყლის მილის გასამართავად—**333** ათასი მანეთი. (რ.).

—

«რუსის ნაღმიან გემის „რეშიტელნი"-ს უფროსად ნამყოფი ლეიტენანტი როშჩაკოვსკი რუსეთში დაბრუნდა და **30** დეკემბერს პეტერბურგში სამხედრო ცოდნის საზოგადოებაში მოხსენება წაუკითხავს, თუ რა მდგომარეობაში იყო პორტ არტური **28** ივლისამდე. როშჩაკოვსკი **28** ივლისს გავიდა პორტ არტურიდგან.—როშჩაკოვსკის, სხვათა შორის, უთქვამს: რუსის ჯარისა და ფლოტის უფროსებს თანხმობა არა ჰქონდათო. მაგილითად, როცა გენერ. სტესელმა ადმ. ვიტგეფტს სთხოვა, ცინჩოუსთან დახმარება გაგვიწიეთ, გემები მოგვაშველეთო, განსვენებულმა მხოლოდ კანონირი გემი «ბობრი» გაუგზავნა და ამ გემმა დიდი დახმარებაც გაუწია ხმელეთის ჯარს; ნავთსადგურსა და რეიდზე კიდევ რამდენიმე კანონირი გემი იდგა უსარგებლოდ; კაცი ძალა-უნებურად ჰკითხულობს, რატომ ადმირალმა ეს გემებიც არ გაგზავნაო. ხმელეთისა და ფლოტის აფიცრები ხომ ნამდვილად გადაკიდებულები იყვნენ ერთმანერთთან, მაგალითად, შემდეგი ამბები ხდებოდა ხოლმე: მეზღვაური აფიცერი, ჩვეულებრივის საზაფხულო თეთრის ტანისამოსით, ნაპირზე გადადის, გზაში ხმელეთის აფიცერი ჰხვდება და ხმა მაღლივ აგონებს: «თეთრო კურდღელოო» (ვითომ მეზღვაურები მშიშარები ხართო). კეთილგონიერი მეზღვაურები ისე იქცეოდნენ, თითქო არც კი გაგვიგონია ეს შეურაცხყოფაო, მაგრამ მეტად ხშირად საქმე მუშტი-კრივამდეც მიდიოდა ხოლმეო (რ.).

—

**რუსეთის ახალი სესხი.** რუსეთმა სამხედრო საჭიროებისათვის ახალი სესხი გამოსცა საზღვარ-გარეთ. ამ სესხის თაობაზე ბერლინიდან სწერენ „რუსკია ვედომოსტი"-ს. კომისიონერთა ჯგუფმა სესხის პირობები გამოაცხადა და 24 დეკემბერს ბერლინის ბირჟაზე ხელის მოწერა გამართა. თუმცა უცხოელ კაპიტალისტებს საოცარი შეღავათი აქვთ მიცემული, თუმცა ემისიონერები ჩვეულებრივის ხერხით მოქმედებენ ბირჟის პრესაზე, თუმცა კომისიონერები ამ სესხიდან 17 მილიონ მანეთს იგებენ და ამიტომ საჟნიან განცხადებებს ჰბეჭდავენ, გაზეთები მაინც მეტად თავდაჭერით უცქერიან ახალ საფინანსო ოპერაციას. ლიბერალურ გაზეთების უმეტესობა არა ჰმალავს, რომ ეს სესხი ჭკუაში არ მოსდით, გერმანიის თანხიდან რუსეთს სამხედრო საჭიროებისათვის ფულს როდი უნდა ვაძლევდეთო. ზოგი გაზეთი ეკონომიურ მიზეზით ასაბუთებს თავის აზრს, ზოგი პოლიტიკურით. ამ კრიტიკის წინაღმდეგ ყველაზე მხარედ ბერლინური «ბარზენ კურიერ»-ი ამხედრდა. ეს გაზეთი სწერს: „გერმანიის საზოგადოების ზოგიერთ წრეში რუსეთის სესხში მონაწილეობის მიღება თითქო კაცთ-მოყვარეობის ღალატად მიაჩნიათ. ეს იდეალური მოსაზრებაა და კაპიტალისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, კაპიტალი თავის საკუთარ პრინციპებით ხელმძღვანელობს, ყოველთვის იმასა ცდილობს, რომ სესხი უზრუნველ-ყოფილი იყოს და რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს. რუსეთის სესხი ყველა მხრივ სახეირო საქმეა: დიდი სახარბიელო სარგებელი აქვს და თავნიც არას დროს არ დაიკარგება,—რუსეთი მუდამ რიგიანად იხდიდა თავის ვალსა და, უეჭველია, ამას იქითაც რიგიანად გადაიხდის. რასაკვირველია, გერმანელ კაპიტალისტებისათვისაც სასარგებლო იქმნებოდა, რომ რუსეთში ახალი უფლებრივი წეს-წყობილება დამყარდეს, რადგან ბიუჯეტისა და ფინანსების კანტროლი ამორჩეულ წარმომადგენელთა მიერ რუსეთის გარეშე სესხებსაც მეტ გარანტიას შესძენდა, მაგრამ რუსეთის შინაგანი რეფორმები თითონ რუსების საქმეა და არა ჩვენიო". საინტერესოა აგრეთვე გერმანელ კონსერვატორებისა და აგრარიების გაზეთის «კრეუც ცაიტუნგ»-ის აზრი რუსეთის სესხზე. წინად ეს გაზეთი მუდამ აფრთხილებდა ხალხს, გერმანიის კაპიტალი რუსეთის ხელში არ ჩააგდოთ. ეხლა კი «კრეუც ცაიტუნგ»-ი სწერს: ჩვენ არც ვურჩევთ ვისმე, მაგრამ არც ვუშლით, რადგან, ცხადია, ამ სესხს მჭიდროდ კავშირი აქვს რუსეთთან დადებულ ახალ სავაჭრო ხელ-შეკრულობასთან. ეჭვი არაა, გერმანიის მთავრობამაც ამ მიზეზით გაუწია დახმარება რუსეთის ახალ სესხსა, ამიტომ „კრეუც ცაიტუნგ"-ი ამბობს, თუ რუსეთი ამ სესხის შემდეგ ჰურზედ დიდ ბაჟებს დასთანხმდება, უნდა ვსთქვათ, რომ ეს სესხი დიდ ფასად როდი ჩაითვლებაო.

—

**გულის ინციდენტის გარჩევა.** პარიჟიდან დეპეშით ატყობინებენ «ბირჟევია ვედომოსტი»-ს: საერთაშორისო გამომძიებელ კომისიის სხდომამ გულის საქმეზე 28 დეკემბერს 2 საათს გასტანა და სულ კომისიის მოქმედების რიგის განხილვას მოუნდა. ინგლისის წარმომადგენელმა მოითხოვა, გამოძიების დროს მუდამ პირველად მე უნდა ვილაპარაკო ხოლმე, როგორც ბრალმდების წარმომადგენელმაო. რუსეთის წარმომადგენლებმა უპასუხა, ამ საქმეში არც ბრალმდებელია, არ ბრალდებული, კომისია მხოლოდ საიდუმლოდ დამზადებულ და მომხდარ ინციდენტს იძიებსო. ხანგრძლივ კამათის შემდეგ ინგლისის წარმომადგენლის თხოვნა შეიწყნარეს. პირველი საჯარო სხდომა მომავალ კვირას მოხდება. სხდომას იაპონიის ელჩიც დაესწრება, ელჩს რამდენისამე კაცის მოწვევის ნებაც მისცეს.

—

**რუსეთის გემები ვლადივოსტოკში.** ერთი უცხოელი აფიცერი სწერს «მორნინგ პოსტ»-ში: სარწმუნოდ გავიგე, რომ ვლადივოსტოკში მხოლოდ ერთ კრეისერს შეუძლიან ბრძოლაო. 10 ნაღმიან გემიდან ვლადივოსტოკში რუსებს მხოლოდ 2-ღა დარჩათო (რ.).

# ახალი ამბავი

მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 9 იანვარს დილის 12 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება პირველი კრება ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა. ამ კრებაზე ამოირჩევენ წევრებსა და გამგეობას. გარდა ამისა ყველას მოვაგონებთ, რომ საზოგადოების წესდების მე-22 მუხლის ძალით ყველა, ვინც კი პირველ კრებაზედ წევრად ჩაეწერება და საწევრო ფულსაც შეიტანს, ჩარიცხულ იქნება დამფუძნებელ წევრად. საწევრო ფულის რაოდენობა წესების მე-24 მუხლის ძალით დამოკიდებულია პირველ საზოგადო კრებაზედ, მაგრამ წლიური საწევრო ფული 5 მ. არ უნდა აღემატებოდეს, ჩვენის აზრით აუცილებლად საჭიროა, რომ საწევრო ფული 2-3 მანეთს არ აღემატებოდეს, რადგან, სულ ერთია, საწევრო ფული 5 და 10 მანეთიც რომ დანიშნონ, საზოგადოება ამით ვერაფერს მოიგებს. ისე კი, თუ საწევრო ფული 2-3 მან. იქნება შევრს წევრებს შეიძენს, რასაც უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება.

⁂ **გუბერნატორის ბრძანება.** როგორც შეკრებილ ცნობებიდგან აღმოჩნდა, გორის მაზრაში რამდენიმე ოჯახი ყოფილა ისეთი, რომელთა უფროსი შვილები ამ ჟამად ომში არიან თურმე. ეს ოჯახები დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილან. ეხლახან ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა გორის მაზრის უფროსს გამოიკვლიოს რამდენად გაჭირვებულნი არიან ხსენებული ოჯახები. როგორც გუბერნატორის ბრძანებაშია ნათქვამი, იმათ დახმარება და შემწეობა უნდა აღმოუჩინოს ხაზინამ კი არა, ქალაქის და სოფლის საზოგადოებებმა.

⁂ **გრაფი შუვალოვი**, რომელიც უმაღლესის განკარგულებით იყო ტფილისში გამოგზავნილი ხოლერის წინააღმდეგ ზომების მისაღებად, გუშინ წინ 7 იანვარს, დაბრუნდა პეტერბურგს.

⁂ **ჯამაგირების მომატება.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის საბჭომ დაადგინა ყოველ 5 წლის სამსახურისათვის 15 წლამდე ჯამაგირები ემატებოდეთ ქალაქის დაწესებულებათა მოხელეებს ეხლა პოლიცმეისტერი შეეკითხა ქალაქის გამგეობას, შეტანილ იქმნებიან თუ არა ზოგიერთი პოლიციელები მოხელეთა იმ სიაში, რომელთაც ჯამაგირი უნდა მიემატოთო. გამგეობამ გუშინ წინ აცნობა პოლიცმეისტერს, რომ ჯამაგირების მომატება დაიწყება 1910 წლიდანა.

⁂ როგორც გორიდან გვატყობინებენ, ქალაქის მოურავის არჩევნები დანიშნულია 20 იანვრისათვის.

⁂ **ზვავის მსხვერპლნი.** პირაქეთ ხევსურეთიდან «ცნ. ფურ.»-ს ატყობინებენ: ახალ-წელიწად დღეს როშკის საზოგადოების სოფელ ქმოსტის მცხოვრებნი ხევსურნი 7 ქალი და 2 კაცი, ფეხით მომავალნი «სტუმრობიდან» სოფ. ღელედან თავიანთ სოფელში. გზაზე ხევსურებს წამოსწევიათ დიდი თოვლის ზვავი და ყველანი ქვეშ მოუყოლებია,

⁂ **სამკითხველოს დახურვა.** დუშეთიდან «ცნ. ფურ.»-ს ატყობინებენ: რადგან ადგილობრივ როინაშვილისეულ უფასო სახალხო სამკითხველოს ქალაქის გამგეობამ მოუსპო ის ათი თუმანი, რომელსაც გამგეობა ყოველწლივ სუბსიდიად აძლევდა, სამკითხველომ ამ წლის პირველ იანვრიდან მოსპო თვისი არსებობაო.

⁂ **ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება კავკასიაში.** «ნოვ. ობ.»-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ფრიად საყურადღებო ამბავს ატყობინებენ: იუსტიციის სამინისტრომ საჭიროდ სცნო კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება. სამინისტროს პარშანვე ჰქონდა განზრახული ჩრდილოეთ კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება. რაც შეეხება ამიერ კავკასიას, ჯერ-ჯერობით არაფერი არ ვიცით. დეპეშიდგან არა სჩანს, ჩვენშიაც შემოიღებენ ამ დაწესებულებას, თუ მეორედ მოსვლამდე გვაცდევინებენ.

⁂ **ბოროტი განზრახვა.** 6 იანვარს შუადღისას ბათუმში მანთაშევის ქარხნების გამგეს, პოზოევს ვიღაცამ რევოლვერი ესროლა იმ დროს, როცა პოზოევი თავის სადგომში ფანჯარასთან იდგა. პოზოევს ტყვია ასცდა, ბოროტ მოქმედი არა სჩანს.

# საქართველო

**სოფ. ხაშმი** (ივრის ხეობა).

ჩვენში სოფელი თითქოს წარმატების გზას დაადგა, ამას წინად გატყობინებდით, რომ ჩვენი სოფლის სახელმწიფო მიწებით მოსარგებლე აზნაურები და გააზნაურებულნი ალაგმეს-მეთქი და ქურდ-ბაცაცების მორიგე დარაჯების დანიშვნით, ცოტა შეაფერხეს მეთქი. ახლა კიდევ უნდა გაუწყოთ ერთი სასიამოვნო ამბავი: დეკემბრის 22 აქ მობრძანდა სახალხო სკოლების დირექტორის მიერ გამგზავნილი სამოქალაქო სკოლის მასწავლებელი ბ. ჯაფარიძე, რომელმაც სოფლელებს გამოუცხადა, რომ მომავალი წლის (1905) იანვრიდან მოგივათ მასწავლებელი ქალი ქალების განყოფილების მასწავლებლადაო; ამ ახალს მასწავლებელს წლიურად 400 მან. ხაზინიდან მიეცემაო; ამ ამბავს დამსწრენი სიხარულით მიეგებნენ, საჭირო იყო აქამდისაც დაენიშნათ ქალი მასწავლებელი, რადგანაც ერთს კლასში ქალ-ვაჟნი ერთმანეთში ღორ-ხბოსავით იყვნენ არეულნი; გარდა ამისა ერთი მასწავლებელი ვერ ასდიოდა, რის შედეგაც ყველა ჩვენებური მცხოვრები ხედავს — შედარებით ძრიელ მცირე ნაწილი თუ იღებს ცოტაოდნად გამოსადეგ ცოდნას. გარდა ამისა, როგორც ყური მოვკარით, ადგილობრივი მამასახლისი მეცადინეობს, რათა მომავალის წლიდან ჩვენი ერთ კლასიანი სკოლა ორ-კლასიანად გადააკეთონ. საამისოთ გვაქს მშვენიერი შენობა, მასწავლებელიც ორი გყავს და თუ კი ჩვენი სკოლა მეტი ნაყოფიერი და სარგებლობის მომცემი შეიქმნება, მაშინ, იმედია, ჩვენმა სოფელმაც არ დაზოგოს მესამე მასწავლებლისთვის საჭირო ხარჯი.

სწორედ სამწუხარო და სავალალოა, რომ ისეთს დიდს სოფელში (სამასამდე კომლია), რომელიც თბილისს სულ რაღაც 36 ვერსით შორავს, ერთი რიგიანი სკოლა არ იყოს რიგიანის მასწავლებლებით. დროა, ჩვენმა გლეხებმაც გამოიღვიძონ და გაიგონ, რა არის მათთვის სასარგებლო, ვინ არის მტერი და მოყვარე და ანგარიშიან ცხოვრებას მიჰყვნენ; აწ მაინც უნდა ირწმუნონ, რომ.

სწავლაა ბნელის ფარანი,
სწავლა ცხოვრების ხიდია!

ვუსურვებთ მეტს მხნეობას ჩვენის სოფლის მამასახლისისას სასოფლო საქმის მოწესრიგებაში...

—

ამ ბოლო ხანებში ჩვენმა სოფელმაც გამოიჩინა თვით-მოქმედება და თავის ჭირსა და ვარამზე საზოგადოთ ზრუნვა; მართალია, ეს მისი თვითმოქმედება ჯერჯერობით ვიწრო ფარგალშია მოთავსებული, მაგრამ მაინც თვითშეგნების მომასწავებელია. აი მაგალითი: გასული წლის ქრისტეშობის 25, აქაურმა ორმა მცხოვრებელმა ერთს აქაურს მცხოვრებელს გლეხს დეკეული მოჰპარეს, სოფლის გარეთ დაჰკლეს და შუაზე გაჭრილი ორად გაყოფილი-განაწილებული შინისკენ მოჰქონდათ. ქურდების კვალი დეკეულის პატრონს წინადვე აეღო და ამიტომ გზაზე ჩაუსაფრდა. როდესაც ქურდები თავიანთის ნაპარევით სოფელში შემოვიდნენ, პატრონი ჟადაეღობა, დაიჭირა და შინ წაიყვანა. ქურდებს ანგარიშიანად მოექცა: იმის მაგიერ რომ საჩივარი აეტეხნა, მორიგებით გაუთავა საქმე, ორივე ქურდმა მისცეს სამი თუმნის თამასუქი და პატრონმაც მოინდომა საქმის მიფუჩეჩება, მიიპატიჟა ზოგიერთნი ცნობილი გლეხები და ვახშამი გაუმართა. მაგრამ დიდი ხანია ნათქვამია რომ «ბოროტი საქმე დღის სინათლეს არ დაემალება» და თურმე ეს ლხინი და დროება სოფლის ღამის დარაჯებმა შენიშნეს, რომელიც მეორე დღეს სოფელს მოეფინა. ამავე დროს სოფლის ახალგაზრდა გლეხობამ მოინდომა საქმის გამომზევება, ხალხი შეიკრიბა სასამართლოს წინ და მოხელეებს მოსთხოვა, რომ ორივე ქურდი მოეყვანათ. მცირე ყოყმანის შემდეგ ორივე ქურდი აღმოაჩინეს, რომელთაც ნაპარევი თვითონვე მოატანინეს. მერე ყაყანისა და ჭიჭყინის შემდეგ გლეხებმა მოინდომეს, რომ ორივე ქურდი სასოფლოდ სამაგალითოთ დაესაჯნათ, თუმცა ამისი წინააღმდეგი იყვნენ ზოგიერთნი: მაგრამ აღელვებულ და ერთის გრძნობით შეკავშირებულ ხალხს განა წინ გადაეღობება რამე? — ამიტომაც გლეხებმა შუაზე გადაჭრილი დეკეულის ანგლები დაგრეხილის წნელით ქურდებს ყელზე ჩამოჰკიდეს, და შეკრებილმა ხალხმა წინ წაიმძღვარა და ამ გვარად მთელი სოფელი შემოატარეს; დიდძალი ხალხი მისდევდა და ყველანი არცხვენდნენ...

თვალ-ყურა.

—

**ფოთი.** პირველ იანვარს აქ შემდეგი ამბავი მოხდა: ნაშუადღევის ოთხს საათზე, შუაგულ ბაზარში, მიხეილის ქუჩაზედ, ადგილობრივმა პოლიციელმა, იაკ. ჯაშმა მძიმეთ დასჭრა ხმლით მუშა ესტატე სვანიძე. ხსენებულ ალაგას ი. ჯაში შეხვედრია მთვრალ სვანიძეს და რაღაც მიზეზით ხმალი ამოუღია და მუშისათვის ცემა დაუწყვია. იქვე მდგარა მეორე პოლიციელი — ჯაიანი, რომელიც მივარდნილა და ამასაც ამოღებულის ხმლით ცემა დაუწყია. მძიმეთ დაჭრილი სვანიძე მიწაზედ დაცემულა. ეს ხალხს დაუნახავს და მივარდნილა მისაშველებლად, მაგრამ ჯაიანს ხმლის ტრიალი დაუწყვია და ხალხი ახლოს არ მიუშვია; ჯაში კი, თურმე, ისევ თავის გმირულ მოქმედებას განაგრძნობდა. როდესაც ხალხი ბლომათ მოგროვილა, ჯაში იმ წამსვე სადღაც გამქრალა. წარმოიდგინეთ, თავი არავის არ შეუწუხებია და ცოცხალ-მკვდარი მუშა სახლში არ წაუყვანია. საბრალოო საზარელი სანახავი იყო. რამოდენიმე მძიმე ჭრილობა აღმოაჩნდა და მისი მორჩენა საეჭვოა. დიაღ, ამგვარი ამბების ჩამდენნი არიან აქაური პოლიციელები.

იმათ კარგათ იციან, რომ უბრალოდ მუშის დაჭრა, თუ მოკვლა, არაფერს დიდს დანაშაულს არ შეადგენს და ამიტომაც არის, რომ ასრე ხელ-გამოღებულნი და ალვირ ახსნილნი არიან; იმათთვის არავითარი კანონი არ არსებობს: მხოლოდ ხალხის თვალის ასახვევათ შეიძლება ცოტა გაუწყრნენ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, სამსახურიდგან დაითხოვონ. მაგრამ ამით რა გამოვა! განა ეს კმარა? ამგვარი სამსახური ყოველგან და მუდამ შეუძლიათ იშოვნონ და განა იქაც ამგვარი «მშვიდობიანობის დამცველნი» არ იქნებიან.

ეს პირველი შემთხვევა კი არ არის, ფოთში და ყველგანაც ამ ვაჟბატონებმა უკვე რამდენიმე კაცი იმსხვერპლეს. მაშ სად წავიდეთ, სად დავიფაროთ თავი? არა, მეტი ღონე არ არის, ისევე კაცები უნდა დავიქირავოთ და თან ვიყოლიოთ, რომ დაგვიფარონ ამ პოლიციელებისაგან. საკვირველია, როდის მოეღება ბოლო ამ გვარ მხეცურ ძალ-მომრეობას და ცოტათი მაინც მშვიდობიანობა დამყარდება!

სე—ონ ზენოპნელი.

# რუსეთი

30 დეკემბერს კიევის სალიტერატურო — არტისტიულ საზოგადოების სადგომში კრება ჰქონდათ პედაგოგებს. კრებამ, რომელსაც ას ორმოც კაცზე მეტი დაესწრო, ცოცხლად ჩაიარა. წარმოთქმულ იქმნა რამდენიმე სიტყვა.

— მოსკოვში არსდება სრულიად რუსეთის პედაგოგთა კავშირი.

— გაზეთები გადმოგვცემენ, თუ რუსეთში რა მრავალი შუამდგომლობაა აღძრული მთავრობის წინაშე. ქალაქის თვითმმართველობანი, საერობო დაწესებულებანი და სხვანი ერთხმად აღიარებენ სახელმწიფოს ახლანდელ წეს-წყობილების უვარგისობას. ამათ ბანს აძლევს გაზეთების უმრავლესობა. «მოსკოვსკია ვედომოსტი» კი დაჟინებით გაიძახის: საჭიროა ეს «თვით-ნებეები» თავიანთ პროგრამმის ვიწრო ფარგალში იქმნენ სახელმწიფოს წყობილების შეცვლის შესახებ, რაც მათი საქმე არ არისო.

# თეატრი და ხელოვნება

«ორი ჯიბგირი» დე-კურსელისა, თარგმ. ვ. აბაშიძისა.

პარასკევს გამართულს წარმოდგენას ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო. ჩვენის თეატრის ზოგიერთ მეთაურთ რომ ჰკითხოთ — გეტყვიან, ქართველ ხალხს თეატრზე გული აცრუებული აქვსო. თუ რად აქვს გული აცრუებული, — ამ კითხვაზე დუმილით, ან თავის ქნევით გიპასუხებენ. ჩვენ კი დარწმუნებულნი ვართ, რომ იმ გვარმა პიესებმა, როგორც „ორი ჯიბგირი“-ა, თავისი დრო მოჭამა და ამ ჟამად ინტერესი აღარ აქვს.

წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა, გარდა ბ-ნ თოფურიასი, რომელიც კაპიტანის როლს თამაშობდა. ყველანი საუცხოვონი იყვნენ.

ა—ნა.

# ფელეტონი

**სადღეისოდ.**

მზადა ვართ კი? — ქუთათური ოპოზიციის მოქმედება. — პოლიტიკა თურმე გვაწყენს. — ორი მოდის ფსიხოლოგია.

მართალია, საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ბედი ჩვენ ხელთ არ არის, მაგრამ ამ ჭირმა შეგვაგნებინა ერთობა ჩვენის ერისა, რომელიც მანამდე განხეთქილებით იტანჯებოდა და ნეტარ-მოსაგონებელი შეერთებული საქართველოს მაჯის ცემა გაგვიცხოველა. ერთობის საჭიროება დღეს ისე კარგადა გვაქვს წარმოდგენილი, რომ მამულის გარეთაც კი ვეძებთ ჩვენ გადაკარგულს ძმებს და ვცდილობთ სულიერად დაუახლოვდეთ, როგორც მაგალითად სპარსეთის ქართველობას და ოსმალეთის (ჭანეთის და სხვა ადგილების ქართველებს: ჭანებს, მესხებს და გურულებს, რომელთა საერთო რიცხვი უნდა აღემატებოდეს ნახევარ მილიონსა.

მოგეხსენებათ, ერეკლე მეფე მხოლოდ ქართლ-კახეთის მეფე იყო და გურულ-მეგრელს, ან იმერელს თავის სამშობლო ქვეყანაში სამადლობელი პარაკლისი რომ გადაეხადა ქართლ-კახეთის მეფის სადღეგრძელოდ, გურიელი, დადიანი, ან იმერეთის მეფე მაშინვე შერისხავდა ისეთ ორგულს ქვეშევრდომს და ანძაზე ააგებდა, მაგრამ მოვესწარით კრწანისის ომის ასი წლის თავსა და გმირი მეფის სულის განსასვენებელი პანაშვიდი დასავლეთ საქართველოშიაც გადაიხადეს, რითაც უფროსი ძმებისთვის თითქოს ბანი მიეცეთ. ჭირშიაც თქვენთან ვართო. თუ სული უკვდავია, იმერეთის ჭაბუკი მეფის სოლომონ მეორის სულს კრწანისის ბრძოლის ასი წლის თავის ამბავი სალხინებელი გაუხდებოდა, რადგანაც მის ოცნებას ქართლ-კახეთთან იმერეთის შემოერთებისას საფრხე დახვდა.

ხოლო დღეს რამდენი რა ერთია, რომ ამ ერთობას მოგვაგონებს. მაგრამ ყოველ ჩვენს მოქმედებას, თუნდაც ისეთ ელფეროვანს ერთი რამ აკლია და ეს ერთი რამ ისეთი ნაკლია რომ თუ არ მოვიშორეთ, ერთ წერტილზე შეგვაყენებს. ეს ნაკლი არც თუ ახალი სენია, განხეთქილების ჟამთა დროინდელია, ჩვენი დამღუპველი გვართა ბრძოლის ნაანდერძევია. ამას გვიმტკიცებს მეთვისეობაზე დამყარებული შინაური ბრძოლა, რომელიც ზოგჯერ გაუმართნიათ ჩვენებურ დაწესებულებათა წარმომადგენლებს. დიახ მესამედი მაინც იმ ძალღონისა და მხნეობისა, რაც იმ ბრძოლისთვის შეულევიათ, საქვეყნო საქმეს, ჩვენი ქვეყნის ქალაქობრივის ცხოვრების აღორძინებას რომ მოხმარებოდა, დღეს ამ სულიერი განახლების გაზაფხულის საერთო მოლოდინს ჩვენც იმედიანად დავხვდებოდით, მაგრამ ფიქრადაც არავის მოსვლია, მოძმისთვის სიტყვით, თუ წერით ესწავლებინა, რამ გამოიწვია ცვლილება, რომელიც მოხდა ერთი საუკუნის წინ ჩვენის ქვეყნის ქალაქობრივ-საზოგადოებრივ და სარწმუნოებრივ ცხოვრებაში, რა იყო მიზეზი ამ ცვლილებისა, ან რა სიმართლე ედო საფუძვლად. ყოველივე ეს რუსულმა მწერლობამ შეგვატყობინა ჩვენ თანამამულიშვილთა მ. ხელთ უფლიშვილისა და ზ. ავალიშვილის პირით საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის იუბილეს გამო და ისიც კი ვერ მოვახერხეთ მათი თხზულება ქართულად გვეთარგმნა. რა გასაკვირველია, ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ იმდენად გულ-უბრყვილო და ქალაქობრივ განუვითარებელი იყვეს, რომ, თუ მოვაგონეთ და ვკითხეთ რამ ამ ცვლილებისა, მაშინვე გვიპასუხოს ბატონო, გადავარდაო, თითქოს არც ჰსურდეს ეძიოს მოქმედი, გადამგდები ძალა და ჰსწადდეს, გვითხრას, ყველაფერი თავისით მოხდაო, ესე იგი ყველაფერი თავისით გადავარდნილიყოს მეფობაც, კათალიკოზ-პატრიარხობაც, ქართული სამართალიც, ქართული ფულიც და კიდევ ბევრი სხვა რამ ქართული.

აი ამიტომ უნდა მოგახსენოთ, მზათა ვართ კი, რუსეთის განახლებულის ცხოვრების ასპარეზზე თავი ღირსებით დავიჭიროთ და ვაგლახად არავის ავაგდებინოთ, რადგანაც ჩვენც ერი ვართ, არა მორდვა ჩუვაშისთანა, არამედ დაუმარცხებელ-დაუპყრობლად რუსეთის დიდ ერთან თანამცხოვრები და მქონე მისებრ თანასწორი მოქალაქობრივის სიმართლისა და არა ნაკლები კულტურისა, რომელიც მხოლოდ ეხლაა დაჩრდილული ბედუკუღმართი გარემოების წყალობით

⁂

საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე ხანდახან ისიც მოხდება, რომ ვინც გუშინ გასაკიცხი იყო, დღეს გამკითხველად იქცეს მისთვის, ვინც გუშინ მსაჯულად ითვლებოდა და ავს ავად იხსენიებდა

დიდი ხანია ქუთაისში საზოგადოებრივის ცხოვრების ასპარეზზე მოღვაწე ნასწავლ-კაცობა ორ ბანაკად გაყოფილი ერთი მეორეს უკუღმართობას ჰსწამებდა, მაგრამ გარეშე თვალის მადევნებელს ერთი მათგანი უფრო ხშირად მოწაღმართე ეგონა, მეორე კი პირადი სარგებლობის მიმდევარი. მოწაღმართე ბანაკის ჯგუფი, რომელიც საქვეყნო საქმისთვის გულშემატკივრობას ჰქადაგებდა და ბნელეთის წინააღმდეგ მედგრად იბრძოდა, როგორც თავად-აზნაურობის სამარშლო, ისე მისი საადგილ მამულო ბანკის სამოურავო არჩევნების დროს, თითქოს ომ წაგებული ყოფილიყვესო, თანდათან შევიწროვდა პატარა, ვიწრო წრედ და გამოძებნა მოღვაწეობისთვის ისეთი ასპარეზი, რომელიც მას ალებ-მიცემისა და მრეწველ ხალხთან აახლოვებდა.

ასეთ ასპარეზად გაიხადა ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება და როცა მოუკუღმართე ბანაკის მოთავეებად თვლიდენ ნ. წერეთელს, ა. ნიჟარაძეს, კ. ჩიკვაიძეს და მრავალ სხვას, იმ დროს მოწაღმართე ბანაკს თავი მოსწონდა მით, რომ მისი ზნეობრივის სიწმინდის ტვიფრად ყველა კ. ლორთქიფანიძეს ასახელებდა. მაგრამ ამ მოწაღმართე ჯგუფს ერთი რამ დაავიწყდა და ეს ერთი რამ დავიწყებული კი მისი იდეალისტობის უტყუარი ნაყოფი იყო, რადგანაც ცხოვრებას ხშირად ანგარიშს არ უწევდა, ხოლო ის ხალხი, ვისთანაც დაახლოვდა, უმთავრესად ანგარიშის ხალხი იყო და საზოგადოებაც, სადაც თვითონ მოღვაწეობდა, აგრეთვე ანგარიშს ემყარებოდა, რადგანაც სესხის გაცემისა და ალების საქმეში ნდობა ყოველის უწინარეს ანგარიშს მოითხოვს.

ამ სესხის გაცემისა და ალების თაობაზე უნებლიედ მაგონდება დიახ ჩინებული თხზულება, მეათე საუკუნეში ქართულად დაწერილი, რომლის ავტორი, როგორც ადამიანის ბუნების ზედმიწევნით მცოდნე განმარტებს, თუ რა ურთიერთობაა მოსესხესა და მოვალეს შორის და განსაცვიფრებლად კარგად ასწერს უკანასკნელის სიცრუესა და ოინებს, როგორმე მოსესხეს ნირი შეეშალოს და ვალის აღება გულიდან გადავარდეს. ასე რომ ფულის გამსესხებელს, ანუ როგორც ავტორი უწოდებს, მოსესხეს წინ უხვდება მოვალის მატყუარობა და გაიძვერაობა. სწორეთ ამიტომ ჰმართებდა ამ მოწაღმართე ჯგუფს, ჰსცოდნოდა, რომ ანგარიში და ეჭვი იყო საჭირო სესხის გაცემის საქმეში, რადგანაც ავტორის არ იყოს, სესხი დასაბამი არს ტყუილისა, უმადლოებისა, უგულისხმოებისა და ტყუილით ფიცისა... უკვეთუ ვინმე კარსა ჰრეკის, მოვალემან მან იწყის დამალვად; უკეთუ შეესა შინა ვინმე შევიდის სახედ მისა, განჰკრთის გული მისი; უკვეთუ ესმის ყეფა ძაღლისა, შეძრწუნდის და ეძიებნ, თუ ხადა ივლტოდის, რამეთუ ჰგონებნ, ვითარმედ მოსესხე მისი მოვალს. რაჟამს ჟამი იგი მიცემისა მოიწიის, იგონებნ, თუ რა თქვას სიტყვა ტყუილისა, ანუ რომლითა ღონისძიებითა თანაწარიხადოს მოსესხე იგი, ანუ თუ რა მიზეზი დაუდვას მას. (იხ. მ. ჯანაშვილის ქართული მწერლობა X საუკუნემდე გვ. 211, 212, 219).

რამდენად მართალია ასეთი ფსიხოლოგია იმ მოვალეთა მიმართ, რომელთაც უსაზღვრო ნდობა გამოუცხადეს ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის წევრებმა და ასესხეს აუარებელი ფული, რომლის გირაოდ მიიღეს ჭიათურა—ჭიქაურის შავი-ქვა? ნუ თუ ამ საქმეში ადგილი არ უნდა ჰქონოდა

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათასაგე ნტოსაგან).

## დილის დეპეშები.

7 იანვარი.

**ტულონი.** «ფორჯ და სანტიეს» საზოგადოებას შეუკვეთა რუსეთმა «ბაიანისთანა» ჯავშან გადაკრული კრეისერის გაკეთება.

**შანჰაი.** მოვიდა გემი «აუსტრალიენი», რომლითაც მოვიდნენ გენერალი სტესელი და სხვა რუსის აფიცრები; ამათ დაუხვდა ადმირალი რეიცენშტეინი, რომელიც «ასკოლდით» მოვიდა შანჰაის. აქაური რუსის მოხელენი, გენერალი სტესელი და ნახევარი მოსულ აფიცრებისა ხვალ მიდიან პორტ საიდს. ¸სამასი კაცი შანჰაიში დარჩება.

**ვაშინგტონი.** როგორც „მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტი იუწყება, მოლაპარაკება ამ ჟამად რუსეთსა და ჩინეთის შესახებ განსხვავდება იმ ნოტასაგან, რომელიც გაგზავნა სახელმწიფო მდივანმა გეიმ რუსეთის შეკითხვის გამო ჩინეთისაგან ნეიტრალობის დარღვევის თაობაზედ, და ეხლანდელ ხანას რუსის ომისას არ შეეხება. გეიმ ადრე დაიწყო ლაპარაკი, ვინემ რუსეთი წარადგენდა თავის ნოტას მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ამ ჟამად ამერიკის მთავრობას აქვს გამართული. გეიმ მიჰმართა პირდაპირ ევროპის სანეიტრალო სახელმწიფოებს და სთხოვა, ღონე ილონონ ჩინეთის დასაცველად. საკვირველი ის არის, რომ სამმა დაინტერესებულმა სახვლმწიფომ რუსეთმა, ჩინეთმა და იაპონიამ არც კი იციან, რა ხდება ამ საქმის გამო, თუ არ ალვნიშნავთ იმას, რომ ამ საქმის შესახებ იმათ გაიგეს მხოლოდ თავიანთ მოკავშირეთაგან. გეიმ მისცა წინადადება, ჩინეთის ტერიტორია ხელშეუხებელი უნდა იყოსო. სიტყვა ხელშეუხებლობა უნდა გავიგოთ იმ აზრით, რომ ამერიკა მზად არის დაიცვას ჩინეთის ხელშეუხებლობა იარაღითა, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. ინგლისმა, საფრანგეთმა და გერმანიამ აღუთქვეს გეის შემწეობა.

**ბუდაპეშტი.** დაბა ვეჩში ამრჩეველთა შორის სისხლის ღვრა მოხდა. ორმოც კაცზე მეტია დაჭრილი, ზოგი მძიმედ.

**პეტერბურგი.** ოფიციალური. დეპეშა გენერალ კორპატკინისა ხელმწიფე იმპერატორის სახელზე 5 იანვარის თარიღით: «3 იანვარს 30 ვერსზე ქალაქ სინმიტინიდან შეიპყრეს იაპონელთა მოთარეშენი, 5 ცხენოსანისგან შემდგარი. შეტაკებაში 4 იაპონელი მოჰკლეს და ერთი ტყვეთ წამოიყვანეს“.

**ლონდონი.** რაკი ერთობ ხშირად იჭერენ იაპონელები ვლადივოსტოკისაკენ მიმავალ ინგლისის გემებსა, «ლოიდს» ლამის შიშის ზარი დასცეს ორჯელ იყო თათბირი დამზღვევთა, აღიძრა ლაპარაკი, მიეცეთ ვლადივოსტოკისათვის დაქირავებულ გემების პატრონებს გემის ღირებულება შიშის თავიდან ასაცილებლად. შიში უსაფუძვლოა, რადგან ორ მილიონ გირვანქად არის დაზღვეული, ზარალი კი შეპყრობილი გემებისა არ აღემატება ნახევარ მილიონსა. — შეპყრობილი გემები «ბავბრეი», რომელიც გონკონგიდან გავიდა, დაზღვეულია 40 ათას გირვანქად. გემი «ოასკლეი», რომელიც აგრეთვე შეიპყრეს, გამოვიდა ბრისტოლიდან ვლადივოსტოკისკენ ნახშირითა.

**სეული.** ხამხანიდან წერილით იუწყებიან, აქაურნი მკვიდრნი ძრიელ შეაწუხა ჯარის გადახვლ-გადმოსვლამ ხამხანის პროვინციაზე და რუსების და იაპონელების ჯარებმა. ამას წინად რუსებმა აქ დასწვეს ექვსი სახლი, მუნხუნს ახლო 66 და კიმბიონში 130. ამ ჟამად კორეელებმა სულ დასტოვეს ხამხანი და იაპონელები დამკვიდრდნენ და დაიჭირეს საუკეთესო სახლები. გარეგნობით ეტყობა, რომ დიდი სიღარიბეა. ეხლა იაპონელები გახურებული მუშაობენ, აკეთებენ თხრილებს, სანგრებსა და გზებსა ვაკეებზე. — იონბიოკიდან აღმოსავლეთად მუკუჩენთან 1200 რუსის ცხენოსანია რამდენიმე ზარბაზნითა და 600 ქვეითა ჯარის კაცი. ამ რამდენიმე დღის წინ სონშინს მოვიდა სამი ათასი რუსის ცხენოსანი 12 ზარბაზნითა. საჭირო სურსათი და მასალა მოუვიდათ ვლადივოსტოკიდან გემითა.

**ბრაუნშვეიგი.** მოხდა სტუდენტების მოძრაობა უცხოელთა წინააღმდეგ, რომ იმათ ბრაუნშვეიგის უნივერსიტეტში ლექციები არ მოისმინათ, ამის გამო უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, ვისაც ამ უნივერსიტეტში ყოფნა არ მოსწონს, იმას სხვა უნივერსიტეტში შესვლა შეუძლიანო. მაგრამ სტუდენტები მაინც იბრძვიან რუსის სტუდენტთა წინააღმდეგ.

**პეტერბურგი.** 6 იანვარს ნათლიღება დღეს ნევაზე უბედურ შემთხვევის გამოსაძიებლად დაინიშნა კომისია გენერალლეიტენანტის ხიტროვოს თავმჯდომარეობით, წევრებად არტილერიის პოლკოვნიკი გოლოვაჩევი, არტილერიის გენ.-მაიორი ივაშენცოვი, არტილერიის პოლკოვ.-თ-დი მასალსკი, პირადად გამოძიებას დაესწრობა და თვალყურს დაიჭერს დიდი მთავარი სერგი მიხეილის ძე. კამისია გუშინვე, 6 იანვარს, შეუდგა გულმოდგინე გამოძიებას შემთხვევის მიზეზებისას და დაჰკითხა ის ჯარის-კაცნი, რომელნიც სროლაში მონაწილეობდნენ. კომისიის სხდომას დაესწრნენ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ლოპუხინი და პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი ტრუსევიჩი. გამოძიების მსვლელობა და აგრეთვე შედეგი გამოცხადდება. — ნევისა და პუტილოვის ქარხნებში რომ მუშაობას თავი დაანებეს, ამას მოჰყვა კიდევ ჟურნალ-გაზეთების მუშათა გაფიცვა, რომელთაც მუშაობა შეაყენეს სტამბეში. სტამბის მუშები წყნარად არიან, შესწყვიტეს მუშაობა მხოლოდ იმიტომ, რომ ქარხნის მუშებმა აიძულეს. ხვალ, 8 იანვარს, უეჭველია, გაზეთები არ გამოვა.

**ბერლინი.** 7 იანვარი. რეიხსტაგი. იმპერიის კანცლერმა სიტყვით მიჰმართა რურის რაიონის მუშებს და გააფრთხილა, ძალმომრეობას ნუ მიჰმართავთო. «მთავრობის მოვალეობაა, — სთქვა კანცლერმა, — რომ ენერგიულად დაიცვას ყველა, ვისაც მუშაობის სურვილი აქვსო“. კანცლერმა მწუხარება გამოსთქვა, რომ ვერ შევსძელი შემეთანხმებინეთო. მთავრობის ორგანოებმა იზრუნეს, რაც-კი შეეძლოთ, რომ შუაკაცობა გაეწიათ მუშებსა და დამქირავებელთ შორის, აგრეთვე დაწვრილებით გამოიძიეს მუშაობის ვითარება გაფიცვის რაიონში. აუცილებლად საჭიროა, რომ პოლიტიკურმა დასმა ამ საქმეში ობიექტივური ადგილი დაიჭიროს. ბიულოვი სწუხს, რომ მუშათა პრესსამ ცეცხლზედ ნავთი დაასხა და მით საქმე უფრო გაამწვავა. სოციალისტთა ბელადებს არ შესწევთ იმდენი ძალ-ღონე, რომ შეაჩერონ აუარებელი გაფიცული ხალხი, ამიტომ მუშათა მოძრაობა და გაფიცვა თუ შემდეგშიაც გავრცელდა, ამისი ბრალი უმთავრესად სოციალისტებს უნდა დაეკისროთ.

**ლონდონი,** 7 იანვარი. (საკგ. საკ. კორ.). მეფე ედუარდი მოულოდნელად მოვიდა ლონდონს. — გერმანიის ქვა-ნახშირის მუშათა გაფიცვამ აქაური ვაჭრები ძლიერ დააფიქრა. ნახშირზე ფასმა ძლიერ აიწია.

**პეტერბურგი.** ოფიციალური ცნობა. «რადგანაც ბევრს ფაბრიკასა და ზავოდებში სატახტო ქალაქ პეტერბურგში მუშაობა შესწყვიტეს, პეტერბურგის ქალაქის უფროსი თავის მოვალეობად სთვლის გააფრთხილოს ყველა, რომ ყოველგვარი ყრილობანი და ჯგუფ-ჯგუად სიარული მუშებისა აღკრძალულია და თუ ვინიცობაა მაინც შეიკრიბებიან, კანონში ნაჩვენები უკანასკნელი ღონის ძიებანი იქმნება მიღებული. რადგანაც ჯარის გამოწვევას შეიძლება უბედური შემთხვევანი მოჰყვეს, ამიტომ მუშებსა და გარეშე ხალხს ქალაქის უფროსი სთხოვს, რომ როგორმე არ ჩაერივნენ რიცხვმრავალ ხალხთა ყრილობაში ქუჩებსა და მოედნებზედ და ამ ნაირად თავიდგან აიცილონ უწესოების შედეგი».

დღეს გაიფიცნენ მუშები 174 ფაბრიკა-ზაოდებისა, სტამბებისა და სამრეწველო დაწესებულებათა. პოლიციის ანგარიშით, სულ გაიფიცა 92,859 კაცი. გაფიცულთ არც ერთხელ არ დაურღვევიათ წესიერება და მყუდროება. მუშაობა შესწყვიტეს მშვიდად და წყნარადა. დღეს პეტერბურგი თითქმის უგაზეთოდაა, რადგანაც ყველა სტამბამ, სადაც გაზეთები იბეჭდებოდა, გარდა გაზეთ «С.-Петербургскія Вѣдомости Градоначальства»-სი, მუშაობა შესწყვიტა. სახაზინო ზავოდთაგან მუშაობა შესწყვიტა არა მარტო სატახტო ზავოდებმა, არამედ კოლპინსკისა და სესტრორეცკისამაც. ვარშავის რკინის გზის გაყოლებაზედ მუშები გაიფიცნენ ლუგას სადგურამდე.

## საღამოს დეპეშები

8 იანვარი.

**პარიჟი.** «ჟურნალ დე დება» იხილავს რა სამხედრო მოქმედების ვითარებას მანჯურიაში, არაფერს მნიშვნელობას არ აძლევს იაპონელთა გამარჯვებასა და აღნიშნავს იმათ ყოყმანს და გაუბედაობასა. — «ლიბერტე» ამტკიცებს, რომ ამ ჟამად რუსებს მეტი ძალა აქვთ იაპონელებზეო. აღმოსავლეთის მცოდნენი კი ამბობენ, იაპონია ბევრად მდიდარია, ვინემ აქა ჰგონიათო. — „ტაიმსი“ ამბობს, როგორც ნამდვილ წყაროდგან იტყობინებიან, როჟესტვენსკი აღარ ჰფიქრობს შორეულ აღმოსავლეთისკენ გზის განგრძობასაო და სამს თვეს მაინც შეიცდის, მინემ გაბედავდეს ბრძოლის ველამდე მისვლასაო.

**დორტმუნდი.** გაფიცულთა რაოდენობა მატულობს და მილიონის მეოთხედამდე ავიდა. ასე გასინჯე საფრანგეთის ლოტარინგიასაც დაეტყო მუშების გაფიცვა, რადგან მარილის მექარხნეებს ნახშირი მიჰქონდათ რურიდგან. ეხლა ბელგიის ნახშირსა ხმარობენ.

**შანჰაი.** გემი „აუსტრალიენი“, რომელზედაც არის გენერალი სტესელი 300 აფიცრითა და იმათი კაცებით, დღეს საღამოს წავა. ყველა რუსები ქება-დიდებით იხსენიებენ რაინდულ საქციელსა და იაპონელთა მაღალს სამხედრო თვისებათა.

**პარიჟი.** „დელი ტელეგ“-ში დაბეჭდილი სინმინტინიდგან გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, რომ ჩინეთის მოხელეებმა გაიგეს გენერალი კუროკი მომკვდარა ლიაოიანში 13 დეკემბერსაო. გემი «აუსტრელიენი» მოვა მარსელში 7 თებერვალს. გენერალი სტესელი და სხ. რუსნი პორტსაიდში გაემგზავრებიან და აქედგან ოდესაში წავლენ მათთვის დაქირავებულის გემით. გუშინ მოხდა გამომძიებელი კომისიის დახურული კრება.

**ტოკიო.** სავაჭრო პალატამ პორტ არტურის აღება იდღესასწაულა. პირველმა მინისტრმა, ტოგომ, აგრეთვე სამხედრო და საზღვაო მინისტრებმა სიტყვები წარმოსთქვეს. ხმები დადის, რომ იაპონიას მოლაპარაკება აქვს გაჩაღებული ანტვერპენში გემების საყიდლადო. იაპონელთა მიერ დაჭერილი — ინგლისელთა გემი «ლიტინგტონი» კანონიერ დავლად გამოცხადდა.

**ვაშინგტონი.** იტალია სრულიად ემხრობა ჩინეთის ხელუხლებლობის დაცვის დედა-აზრს. უმთავრეს სახელმწიფოთა თანხმობა გეის ნოტაზედ. დიდად სასიამოვნოა რუზველტისათვის და გეის პოლიტიკის გამარჯვებას ზურგს უმაგრებს. ეხლა საფრანგეთიც ინგლისსა და გერმანიას ჰბაძავს და გეის წინადადებას ეთანხმება.

**შანჰაი.** ჩინელთა ჯარების სარდალი იუნშიკაი ჯარებს ამრავლებს მანჯურიის სამზღვარზედ, ტენჩანტაიში, ჩინეთის მიწა წყლის ნეიტრალიტეტის დასაცველად ლიაოხეს დასავლეთისკენ.

---


# განცხადებანი

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ბანკის მე-14 § ძალით ამა წლის იანვრის 12, დილის 12 საათზედ, ბანკის სადგომში, ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზედ მოხდება მეორე და საბოლოო ვაჭრობა ქვემოდ ჩამოთვლილ მამულებისა, რომლებიც არ გაიყიდა პირველ ვაჭრობის დროს 18, 20, 22 და 23 დეკემბერს 1904 წ.

ქალაქის მამულები.

ქ. ტფილისში.

არუთინოვისა მარიამ მარკოზის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 58,11 ოთხ. კუთხ. საჟ., მე-7 ნაწ., ელისაბედის ქუჩაზედ.

თავნი ვალი 7050 მან. და 51 კ., შესატანი გარდასახადი 302 მან. და 82 კაპ., სულ 7353 მან. 33 კაპ.

არუთინოვი, ივანე სარქისას ძე: (მემკვიდრენი): შენობანი და მიწა, ზომით 86½ ოთხ. კუთხ. საჟ. დაფასების აქტით, მე-2 ნაწ., თხინვალის ქუჩაზე.

თავნი ვალი 8798 მ. 13 კ., შესატანი გადასახადი 398 მ. 55 კ., სულ 9196 მ. 68 კ.

არუთინოვი, გიორგი (იგივე გეურქა) პეტრეს ძე და ბედიევი სანდრო პეტრეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 198 ოთხ კუთხი საჟ., მე-10 განყ. ანდრეევის ქუჩაზედ.


---

ანგარიშსა და ექვსა, რადგანაც სესხის განაღდება შავი ქვის მაზანდაზედ ეკიდა და მაზანდა კი მუდმივი და ურყევი თავიდანვე არ ყოფილა. მაგრამ გასაქმიკაცებულმა მოღვაწეებმა რაღა ჰქმნეს? ისა, რომ ანგარიში და ეჭვი, ცხოვრებაში ასე საჭირო, ვერ გამოიჩინეს, მოვალეთა ფსიხოლოგიას თავის დროზე ალღო ვერ აართვეს და ხვალეს ლოდინში და მოვალეთა ტყუილა ფიცილში ისე გაამწკრიეს მათი ვალის რაოდენობის აღმრიცხველი ციფირები, როგორც შავი ქვის ზვინები, რომელიც მათგან დაგირავებული აქვთ.

ყბად აღებულის ზარალის გამო მთავრობის მიერ დანიშნულმა რევიზიამ საზოგადოების საქმეთა წარმოებაში მართლა ზარალი აღმოაჩინა, მაგრამ ამ ზარალს ხომ არც მისი გამგეობა ჰმალავდა, თუმცა არც ისე აზვიადებდა, როგორც რევიზორები. და გვიკვირს, რომ იმ ოპოზიციაში, რომელიც შედგენილ იქმნა გამგეობის დასამხობად და რომელსაც დაეზიარნენ მოწადმართეთა ჯგუფის ზოგიერთნი წევრნი, რად არ გაისმა ხმა სამართლიანობისა, რომელიც ითხოვდა ერთიც მგდისკენი და განუკითხველად გადააყენეს მრთლად გამგეობა, ვერ გაგვიგია იმ ზოგიერთ მოწადმართე წევრთა დამეგობრება ოპოზიციასთან და გადაკიდება გამგეობასა და იმ პირებზე, რომელნიც მის მოქმედებას უკუღმართის თვალით და ბოროტის გულით არ უყურებდნენ, ვერ გაგვიგია იმიტომ, რომ მსაჯულად თავი გამოიცხადეს და მართლ მსაჯულების ბალავარი კი შემუსრეს, რადგანაც ბრალდებულთ თავი არ ამართლებინეს. საინტერესოა ვიცოდეთ, ვექილები ერივნენ თუ არა ამ ოპოზიციაში ან თუ ერივნენ, რას იტყოდენ იმ გვარადვე რომ მოქცეოდა სამართალი, რომლის წინაშე იმდენ მჭერმეტყველებას ხარჯვენ, ოღონდ მათი კლიენტი მართალი და პირწყლიანი გამოიყვანონ.

***

ზემოთაც მოგახსენეთ ქვეყნისთვის ზრუნვა შინაურმა ბრძოლამ შეიწირა მეთქი და ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ამბავი ხომ ნამდვილი სურათია ასეთი ბრძოლისა. საქვეყნო საქმეთა შორის გლეხთა დასახლკარებისა და მათი ყოფა-ცხოვრების ლაუმჯობესობის საქმე ყოვლად საზრუნველია. უეჭველია, გლეხის აყრა და სხვაგან ფუძის დადება მოსდევს ხან მიწის სიმწირეს, ხან კიდევ სიმცირეს. ყოველ სახელმწიფოს გლეხის ოჯახის კეთილ წარმატება საჭირო საქმედ გაუხდია და ყოველი ხალხი, თუნდ დამოკიდებულიც, თუ შეგნებულია და ყოფადი ცხოვრების უკეთ მოწყობას ფიქრობს, იმავე საქმეს ემსახურება.

ეს კარგად ესმის ჩვენ მოძმე სომხებს და ზოგიერთი მათგანი ხომ ისეა გატაცებული, რომ სომხეთიდგანაც კი გადმოჰყავს ლვიძლი გლეხები დასამკვიდრებლად საქართველოში შეძენილ ადგილ მამულზე. მაგალითს გვაძლევს არამიანცი, რომელმაც ბორჩალოს მაზრაში სიმონ წერეთლისაგან შეძენილ მამულზე ერევნიდან გადმოასახლა ოთხმოციოდე სომხის გლეხი და სამკვიდრო ბინა დაუდო. ეხლა შევადაროთ არამიანცს ბორჩალოელი მკვიდრი ქართველი მემამულეები, რომელთაც ჯერ კიდევ საარაკო სივრცის მქონე ადგილ-მამულები უჭერიათ, რა საკვირველია, არა მონაგარი, არამედ სამკვიდრო, მამა-პაპისეული. იმათი მოქმედება ისეთია, თითქოს ვისიმე საწყენი იქმნეს, თუ საქართველოს იმ კუთხიდან, სადაც საცხოვრებლად ადგილი ცოტაა, გლეხები გადმოასახლეს თავიანთ მამულში, რომელიც მათი კერძო საკუთრებაა. ასეთი საქმე იმათ პოლიტიკა ჰგონიათ და პოლიტიკა და ქართველი მემამულე რა ერთმანერთთან მოსატანია. ხომ შეირყა მისი ბრწყინვალების ღირსება და მთავრობის თვალშიაც დაეცა. ცხადია, თუ ასეთია ქართველი მემამულე, როცა გასაშენებელი მისი ადგილ-მამული შექმნილა, გრძნობა მორიდებისა და წყენის შიშისა ერთი ორად უძლიერდება, როცა იგივე მემამულე ხელთუფალია და სახაზინო მიწების ბედი აბარია. აქაც მაგალითად იგივე ჩვენი მოძმე სომეხი უნდა მოვიყვანო და ვიკითხო, ვინ გააშენა სომხებით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების და ქალაქის ზოგიერთი ადგილები. ნუ თუ ამ საქმეს ერთგულად არ ეწეოდენ ხელთუფალი სომხები და თავიანთ მთავრობასაც არ არწმუნებდენ მის სარგებლობას, რომ კანონიერებითაც შეემოსათ თავიანთი მისწრაფება.

დროა ჩვენი უმიწაწყლო გლეხის უკეთესი ბედისთვის ვიფიქროთ რამ და მითვე ჩვენი ვინაობის საძირკველიც გავამტკიცოთ. ამ საქმეს უშიშრად გაგვაბედვინებს ის გარემოება, რომ ადგილ-მამული, ღვთის წყალობით, ჯერ კიდევ ბევრია ჩვენ ხელთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ სადაც გლეხი ოჯახობრივ წელში გამართული და კარგად მოწყობილია, იქაურ ადგილ-მამულსაც მეტი ფასი აქვს და მაშინ ქვეყნის ბედსაც ძალლი ველარ დაჰყეფს. მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენთვისაც, გლეხისთვისაცა და ქვეყნისთვისაც უპრიანეა, ჩვენი ადგილ-მამული ჩვენსავე ლვიძლ ძმას მიეცეს სამკვიდროდ. ღმერთმა ჰქმნას, არამიანცისთანა მემამულეები საქართველოსაც მრავლად გამოსვლოდენ და ქართველი გლეხის ცხოვრებას და მრთლად ჩვენს ქვეყანას უკეთესი ყოფადის ცისკარი აღმობრწყინვებოდეს. ეს არი ჩემი უგულითადესი სურვილი და ამ ახალი წლის დადგომის გამო უკეთეს ვერას მოგილოცავ, მკითხველო.

***

პოლიტიკა რომ დავტოვოთ და ცოცა რამ ზნეობისაც ვთქვათ, დიდი ნახტომი როდი მოგვივა. პოლიტიკას აგრეთვე ერის განმანათლებელი, ზნეობრივ განმაფაქიზებელი ხასიათი აქვს კარგის გამგეობის, კარგის წესების და ადათების შემოღებით.

მოდაც ერთგვარი ადათია, ერთგვარი გრძნობის გამომხატველი ისე, როგორც ცეკვა. მაგრამ ცეკვის ცოტა რამ უნდა მოვიგონო, რაც წინა სადღეისოში მოგახსენეთ, და ნუ შეგრისხავთ.

უზუნდარას ცეკვა ქართველ ქალებს უძრახე და დავასახელე ის ორი ადგილიც, სადაც დეკემბრის მიწურულში იცეკვეს. ამის გამო უზუნდარას მნიშვნელობა გავმარტე და ჩემი გულწრფელი ჯავრი გამოვთქვი, თორემ ვისიმე პირადად წყენა აზრად არ მქონია და არც ვისიმე მაცეკვარის ვინაობა მიხსენებია, ხოლო თუ მართლა იწყინეს, ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე და საქვეყნოდ აღვიარებ, რომ უზუნდარა იმათაც ისევე გულ ახდით თავ მოსაწონებლად იცეკვეს, როგორც მე გულ ახდით უძრახე, თორემ უზნეობა იმათაც ისევე შორავს, როგორც ჩემ ძრახვას მათი შეურაცხყოფის წადილი. დიაღ სასურველია, უზუნდარას ცეკვას, ქართველი ქალი აღარ გამოუდგეს და თუ არ დაიშლის, ღმერთმა მშვიდობა მისცეს.

წახდულობა წამწყმედელია, ამიტომ ადამიანი მოვალეა, კარგი რამ გადმოიღოს, თორემ ეხლა რომ ორი მოდაა გავრცელებული ჩვენში, შინაარსით ხომ ორივე, მდაბიურად რომ ვთქვათ, მამალდედლობის გრძნობის გამომხატველია. ზოგჯერ რო დავინახავ ერთად შეყრილს ვაჟს, ხვადი კატასავით ულვაშებ გაწკიპინებულს, მაღლა შეგრეხილს, და ქალს, რომელსაც კაბის კუდი გვერდზე მოგდებული ხელით აუწევია — უნებლიედ ვგრძნობ, თითქოს ჰსურდესთ ერთმანერთს უთხრან, თუ შენ ვაჟად გამოიცქირები, მეც კარგი... გახლავარო.

დიახ, კარგი გვმართებს გადმოვიღოთ და მით თავი მოვიწონოთ. ეგებ ამ გულწრფელი ჯავრის გამოთქმისთვის ზოგიერთმა ქალვაჟმა მიწყინოს, მაგრამ ეხლავე ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე და არც მწადია მათი შეურაცხყოფა. როგორც უზუნდარას ცეკვას, ისე ამ ორ მოდას ჩემი შვილები მისდევენ და მათი საჯაროდ მხილება მათმავე სიყვარულმა გამაბედვინა, რადგანაც ვფიქრობდი ნაბეჭდმა სიტყვამ ეგებ მაინც გასჭრას მეთქი.

გლდია.

თავნი ვალი 40896 მ. 17 კ. შესატანი გადასახადი 1743 მ. 68 კ., სულ 42639 მ. 85 კ.

ვოლკოვისა, ნატალია სიმონის ასული: შენობანი და მიწა, აქტის დაფასებით 135 ოთხ კუთხი საჟ., მე-10 ნაწ., დიდუბეში, «სევერნი პერეულკა»-ში.

თავნი ვალი 15483 მ. 20 კ., შესატანი გარდასახადი 561 მ. 75 კ.—სულ 16044 მ. 95 კ.

ელისბაროვი, ბენიამენ მიხეილის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 100 ოთხ კუთხი საჟ., მე 10 გან., ნა «გროზნენსკის პერეულკა»-ში.

თავნი ვალი 7746 მ. 20 კ., შესატანი გარდასახადი 302 მ. 49 კ.,—სულ 8048 მ. 69 კ.

ქაბინი, ივანე ანტონის ძე: შენობანი და მიწა, ზომით $88^{1}/_{2}$ ოთხ. კუთხ. საჟ., მე-8 ნაწ., პესკოვსკის ქუჩაზედ.

თავნი ვალი 11,684 მან. და 62 კაპ., შესატანი გადასახადი 524 მან. და 40 კაპ., სულ 12,209 მან. და 11 კაპ.

ზალიევი მიხეილ იაკობის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 300 ოთხ. კუთხ. საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება, მე-10 ნაწ., ავჭალის ქუჩის გაყოლებაზე,

თავნი ვალი 19,421 მან. და 37 კაპ., შესატანი გადახადი 832 მან. და 66 კ., სულ 20,254 მან. და 3 კაპ.

ზიხი, ოლიმპიადა ალექსანდრეს ასული: შენობაბი და მიწა, ზომით 101 ნახევარი ოთხ. კუთხ. საჟ. მე-10 ნაწ., შერემეტევის ქუჩაზე.

თავნი ვალი 8763 მან. და 47 კაპ., შესატან გადასახადი 395 მან. და 95 კაპ. სულ 9159 მან. და 42 კაპ.

ლორთქიფანიძე, გიორგი შაქლეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 83 ოთხ, კუთხ. საჟ., და $8^{3}/_{4}$ ოთხ კუთხ. არშ. მე-2 ნაწ., მე-2 ნაგორნი ქუჩაზე.

თავნი ვალი 7755 მან. და 57 კაპ. შესატან გადასახადი 344 მან. და 17 კაპ., სულ 8099 მან. და 74 კაპ.

მერაბოვი, გიორგი მელიქის ძე: შენობანი და მიწა, ზომით $452^{1}/_{2}$ ოთხ კუთხი საჟ., მე-4 ნაწ., ლერმონტოვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 64629 მ. 67 კ. შესატანი გადასახადი 2652 მ. 23 კ.,—სულ 67281 მ. 90 კ.

მურავსკი, ლუკიან ფრანცის ძე: შენობანი და მიწა ზომით 66,25 ოთხ კუთხი საჟ. მე-7 ნაწ., ლუკიანოვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 1689 მ. 07 კ., შესატანი გადასახადი 72 მ. 31 კ.—სულ 1761 მ. 38 კ.

ოსკაროვები, იაგორა და პეტრე არტემას ძენი: შენობანი და მიწა, ზომით 329 ოთხ კუთხი საჟ., მე-5 ნაწ., გიორგიევის მოედანზე.

თავნი ვალი 67764 მ. 29 კ., შემოსატანი გადასახადი 2717 მ. 52 კ.,—სულ 70481 მ. 81 კ.

ხარაზოვი, გეურქა არტემას ძე: შენობანი და მიწის ორი ნაჭერი ერთი პოლიციის მე-5 ნიწილში სურფ-ნიშანის ქუჩაზედ, ზომით 76 ოთხ კუთ. საჟ., მეორე—მე-6 ნაწილში კრასილნის ქუჩაზედ, ზომით 11 ოთხ კუთ. საჟ. და $2^{1}/_{2}$ ოთხ კუთ. არშ. დაფასების აქტით.

თავნი ვალი 8179 მ. და 20 კაპ., შესატან გარდასახადი 313 მ. და 38 კაპ., —სულ 8492 მ. და 58 კაპ.

ხოჯამიროვი, გიორგი გასპარას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 229,4 ოთხ კუთ. საჟ., მე-10 ნაწ. გორის ქუჩაზე.

თავნი ვალი 34703 მ. და 62 კ. შესატან გარდასახადი 1551 მ. და 96 კაპ.—სულ 36255 მ. და 58 კაპ.

ხუროვი, გიორგი ზაქარიას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 169,75 კვ. საჟ. მე-10 განყ. გოგოლის ქუჩაზე.

თავნი ვალი 27255 მ. შესატან გარდასახადი 2244 მ. და 19 კ.—სულ 29499 მან. 19 კ.

შეიდაიუვი ალი აქფერი: შენობანი და მიწა, ზომით 186 ოთხ. კუთხ. საჟ. პოლიციის მე-10 ნაწ., დიდუბეში, დიდუბისა და შერემეტევის ქუჩა.;

თავნი ვალი 29041 მ. და 85 კ. შესატ. გარდა 1093 მ. და 41 კ., სულ 30135 მ. 26 კ.

## ქალ. გორში.

ზაზუნოვისა, მარიამ არტემის ასული: შენობანი და მიწა, ზომით $97^{1}/_{2}$ ოთხ. კუთ. საჟ., სამეფო ქუჩაზედ.

თავნი ვალი 6174 მ. და 98 კ., შეს. გარდასახადი. 280 მ. 84 კ.,—სულ 6455 მ. 82 კ.

## ქალ. ქუთაისში.

ჯაბაშვილი ისიდორე გიორგის ძე: შენობანი ვენახი და მიწა, ზომით 4 დეს. 102 ოთხ. კუთ. საჟ., ზექედას აგარაკზე.

თავნი ვალი 7623 მ. და 66 კ. შესატან-გარდასახადი 332 მ. და 35 კ.,—სულ 7956 მ. და 01 კ.

## ქალ. ფოთში.

მამალაძე მიხეილ ივანეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 230 ოთხ, კუთ. საჟ. საეკკლესიო ქუჩა.

თავნი ვალი 2730 მ. 98 კ. შესატ. გარდასახადი 156 მ. და 82 კ. სულ 2887 მან. 60 კ.

მამალაძე მიხეილ ივანეს ძე: ხალასი მიწის ორი ნაჭერი, ზომით 1200 ოთხ. კუთხ. საჟ. პეტროვისა, ნაბერეჟნისა, ლაფერტოვისა და თეოდოსიის ქუჩა.

თავნი ვალი 2905 მ. და 13 კ. შესატ. გარდასახ. 118 მ. 44 კ, სულ 3023 მ. 57 კაპ.

## ქალ. განჯაში.

ხოჯაევი მიკირტიჩ ოჰანეზას ძე: შენობანი და მიწა, ზომით, დაფასების აქტებით, 541,43 ოთხ. უთ. საჟ. ადგილ ნორაშენში.

თავნი ვალი 1168 მან. 47 კ. შესატ. გარდასახ. 63 მან. 84 კ. სულ 1232 მ. 31 კაპ.

## ქალ. ბაქოში.

აპრესოვი, აბრამ ისაიას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 184 ოთხ. კუთ. საჟ., მე-5 კანიტაპინის ქუჩაზე.

თავნი ვალი 24089 მ 23 კ. შესატ. გარდასახ. 1009 მ. 35 კ.—სულ 25098 მან. 58 კ.

მეშადი-კილმან მამედ-უსუფ კირ-ოღლი და ჯეგარ-მოლლა-ადა-ბაბა-ყიზი: შენობანი და მიწა, ზომით 376,6 ოთხ კუთ. საჟ. პოლიციის მე-3 ნაწილში, საეკლესიო ქუჩა.

თავნი ვალი 29041 მ. 85 კ. შესატ. გარდ. 1240 მ. 82 კ.—სულ 20282 მ. 67 კაპ.

სალინოვი, გრიგოლ გიორგის ძე: შენობანი და მიწა, ზომით როგორც საბუთის ქაღალდებიდგანა სჩანს, 84 ოთხ კუთ. საჟ., ხოლო დაფასების აქტით 127,4 ოთხ კუთ. საჟ., ზემო-ტაზაპირის ქუჩაზედ.

თავნი ვალი 29837 მ. და 18 კაპ., შესატან გარდასახადი 1297 მ. 83 კ.—სულ 31135 მ. 01 კ.

## სოფლის მამულები.

## ტფილისის გუბერნიისა.

### ტფილისის მაზრისა

ქდიგაროვი, ჭუსეინ ბეგი: (მისგან ნასყიდი მამული, რომელსაც ჰფლობელობდა ადრე ვლადიმერ პეტრეს ძე ბებუთოვი): სხვა და სხვა ადგილები, მიწა ზომით 223 დეს. 1880 ოთხ კუთ. საჟ., ალტალლიასა და ყარა-ტალლიას აგარაკში.

თავნი ვალი 3973 მ. 73., შესატან გარდსახადი 138 მ. 40 კ.,—სულ 4112 მან, 13 კაპ.

მაჩაბლისა, ნატალია ანდრიას ასული, (მისგან ნასყიდი მამული ვახტანგ მიხეილის ძის მაჩაბლისა): სხვა და სხვა ადგილებბ, მიწა ზომით 70 დეს. 700 ოთხკ. საჟ. დიდ-ლილოს აგარაკში.

თავნი ვალი 5743 მან 84 კ., შესატ. გარდ. 201 მ. 20 კ., სულ 5945 მ. 04 კ.

### გორის მაზრისა.

ავალიშვილისა, ელისაბედ ივანეს ასული: სხვა და სხვა ადგილები, მიწა ზომით 66 დეს. 2100 ოთხკ. საჟ., სოფ. ბრეთში.

თავნი ვალი 3084 მ. 55 კ., შესატანი გარდასახადი 115 მ. 72., სულ 3200 მ. 27 კ.

ამილახვრისა, ოლღა რამაზის ასული: ვენახი, ზომით 2 დეს. 2160 ოთხკ. საჟ., სოფ. ქვემო-ჭალაში.

თავნი ვალი 1200 მ., შესატ. გარდას. 61 მ. 36 კ., სულ 1261 მ. 36 კ.

თარხან-მოურავოვისა, ბარბარე მაკარის ასული: კარ-მიდამო შენობითა და ვენახი, მიწა ზომით 1 დეს. 144 ოთხ კუთ. საჟ., სოფ, ახალქალაქში.

თავნი ვალი 4000 მ., შესატანი გარდ. 224 მან. 26 კ., სულ 4224 მ. 26 კ.

ხანჯალაძისა, მარიამ საბელის ასული: სხვა და სხვა ადგილები, მიწა ზომით 24 დეს. 1440 ოთხ კუთ. საჟ., აგარაკ ბეჯანისში.

თავნი ვალი 385 მან. 57 კ., შესატ. ბარდ. 36 მ. 40 კ., სულ 421 მ. 97 კ.

ერისთავისა, ელისაბედ ზაალის ასული: სხვა და სხვა ადგილები, მიწა ზომით 1580 დეს., აგარაკ სამაჩაბლოში.

თავნი ვალი 17455 მ 71 კ., შესატ. გარდ. 572 მ. 66 კ., სულ 18028 მ. 37 კ.

### დუშეთის მაზრა:

ხანჯალაძისა, მარიამ საბელას ასული; სახნავი მიწები და ტყე, მიწა ზომით 18 დეს. 1200 ოთხკ. საჟ., აგარაკ საგუდეში.

თავნი ვალი 195 მ. 16 კაპ., შესატ. გარდ. 23 მ. 20 კ., სულ 218 მ. 36 კ.

### თელავის მაზრისა.

კადუაშვილები, გიორგი და საბა იოსების ძენი: კარმიდამო და ვენახი, მიწა ზომით 2 დეს. 2240 ოთხკ. საჟ., სოფ. ყვარელში.

თავნი ვალი 1000 მ., შესატ. გარდ. 52 მ. 40 კ., სულ 1052 მ, 40 კაპ.

ჯორჯაძე, იორამ იოსების ძე: სახნავი მიწები და ვენახი, მიწა ზომით 3 დეს. 750 ოთხკ. საჟ., სოფ. საბუეში.

თავნი ვალი 1120 მ., შესატ. გარდ. 57 მ. 95 კ., სულ, 1177 მ. 95 კაპ.

ჯორჯაძისა, ეკატერინე ათანასეს ასული: ვენახი, ზომით 10 დეს., აგარაკ გრემში.

თავნი ვალი 1680 მ., შესატ. გარდ. 54 მ. 94 კ., სულ 1734 მ. 94 კ.

ხანჯალაძისა, მარიამ საბელის ასული: (მისგან საჯარო ვაჭრობით შეძენილი მამული მიხეილ ანდრიას ძის ზდანევიჩისა): სხვა და სხვა ადგილები, მიწა ზომით 70 დეს., სოფ. ჭინჭრიანში, იგივე ქვაყრილი.

თავნი ვალი 1932 მ. 04 კ., შესატ. გარდ- 74 მ. 20 კ., სულ 2006 მ. 24 კ.

### სიღნაღის მაზრისა.

ანდრონიკაშვილი, გიორგი ზაქარიას ძე: სხვა და სხვა ადგილები, მიწა ზომით 76 დეს. 395 ოთხ კუთ, საჟ., აგარაკ მელაანში.

თავნი ვალი 1398 მ. 64 კ., შესატ. გარდ. 66 მ. 27 კ., სულ 1464 მ. 91 კ.

ანდრონიკაშვილები: ლევან, ილია და ვლადიმირ აბელის ძენი: სხვა და სხვა ადგილები მიწა ზომით 1620 დეს. 786 ოთხკ. საჟ., ალაზნის გაღმა მხრის მამულების აგარაკებში, ნაურთალსა და სხვ.,

თავნი ვალი 21487 მ. 25 კ, შესატ. გარდ. 672 მ. 08 კ., სულ 22159 მ. 33 კაპ.

(2—1)

დროებით რედაქტორი გრ. ყიფშიძე
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
30 დეკემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | 46,00 |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები | 94,65 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | $37,62^{1}/_{2}$ |
| ბირჟის დისკონტი | $6-7^{1}/_{2}\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | $89^{3}/_{8}$ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა | 87 ყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 419 ნაყ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ. | $325^{1}/_{4}$ წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | $265^{1}/_{2}$ წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | $82^{1}/_{4}$ მყიდ. |
| $4^{1}/_{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | $82^{1}/_{2}$ მყიდ. |
| $4^{1}/_{2}\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |




## ახალი საყმაწვილო ჟურნალი
# „ნ ა კ ა დ უ ლ ი“
ს უ რ ა თ ე ბ ი თ

**გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის**

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

**ჟურნალის ფასი**: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალცალკე 3 მან., ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება**: რედაქციაში, ,,წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала «НАКАДУЛИ».

## საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
# „ჯეჯილი“
წელიწადი მეთექვსმეტე

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

«ჯეჯილში» მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონის ძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერადი წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა და სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი «ჯეჯილი» მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარეშ გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—«წერა-კითხვის გამ. საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул, д. Груз. Двор., № 101), და თვით «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Дժеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

**გამოვიდა და იყიდება ყველგან**

ახალი გამოცემა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა

# საქართველოს კალენდარი
## 1905 წ.

კალენდარი შეიცავს 620 გვ.—კალენდარი დასურათებულია 88 სურათით.—გარდა სხვა მრავალის წერილისა და ცნობისა კალენდარში მოთავსებულია ვრცელი **სალიტერატურო** განყოფილება შემდეგის შინაარსით: სამშობლოსამდი, ევდოშვილისა.—უცხოეთიდან, მისივე.—ყურყუმალაები, აკაკისა.—გოდება ებრაელთა, მისივე.—სიმღერა, ახობაძისა.—საახალწლო სურათი, ნ. ნაკაშიძისა.—მადნის მთხრელები, კ. ჯაფარიძისა.—პატარა სიმღერები, დ. მეგრელისა.—სდუმს არე მარე, ახოსპირელისა.—გოდება მაგდალინელისა, განდეგილისა.—ჩემს მეგობრებს, კ. გოგოლაძისა.—მწარე ღიღინი, შ. მღვიმელისა.—ეკალი მისივე.—შილლერი, ი. გომართელისა.—ბატონყმობა ჩვენში.—გლეხების განთავისუფლება.—პ. სპენსერი.—ნ. მიხაილოვსკი.—შორეული აღმოსავლეთის საქმეები.—ქალი და მისი განათლება.—სიონიზმი და სხ.

**ფასი კალენდრისა 70 კაპ.**

**გამოვიდა და იყიდება აგრეთვე ყველგან**

1) ვრცელი **კედლის კალენდარი**, ფასი 50 კაპ.
2) ქართულ სიტყვიერების ისტორია, ა. ხახანაშვილისა, ფასი 1 მ. 25 კ.
3) რჩეული ლექსები ქართველ პოეტებისა, წ. II. ფასი 25 კაპ.

## ✦ სადღესასწაულო საჩუქარი ✦

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში

**«ქართველ ქალთა წრის»** მიერ გამოცემული

# „ზღაპრები“

წიგნში მოთავსებულია მხატვრის ო. შმერლინგის მიერ დასურათებული ჩვიდმეტი ხალხური ზღაპარი. წიგნი დიდის ფორმატისაა, შეიცავს 160 გვერდს და ღირს 1 მანეთად 30 კაპ.

Дозволено цензурою Тифлисъ, 8 января, 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ домъ арм. семинаріи